შპს ანაბელა სუპერქიდს
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7

	2024	2023	2022
აქტივები			
მიწა	938,489	449,159	449,159
შენობები	1,463,685	523,658	550,590
სხვა ძირითადი საშუალებები	173,216	102,900	53,012
სულ გრძელვადიანი აქტივები	**2,575,390**	**1,075,717**	**1,052,761**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,100	1,406	0
საავაქრო და სხვა მოთხოვნები	3,916	1,150	0
გადახდილი ავანსები	2,253	758	0
ფული და ფულის ექვივალენტები	120,801	29,642	49,585
საგადასახადო აქტივები	15,458	8,324	4,246
სულ მიმდინარე აქტივები	**147,528**	**41,280**	53,831
სულ აქტივები	**2,722,918**	**1,116,997**	**1,106,592**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	195,037	189,590	189,590
გაუნაწილებელი მოგება	92,672	234,962	106,475
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სულ კაპიტალი	**287,709**	**424,552**	**296,065**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	2,084,328	529,266	681,096
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**2,084,328**	**529,266**	**681,096**
მიმდინარე ვალდებულებები			
საავაქრო და სხვა ვალდებულებები	26,758	6,857	5,826
მიღებული ავანსები	33,000	6,360	0
გადასახდელი ხელფასები	707	625	625
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	285,719	148,653	122,980
საგადასახდო ვალდებულება	0	0	0
სოციალური გადასახადი	4,697	684	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**350,881**	**163,179**	**129,431**
სულ ვალდებულებები	**2,435,209**	**692,445**	**810,527**
სულ კაპიტალი და ვალდებულება	**2,722,918**	**1,116,997**	**1,106,592**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

შპს ანაბელა სუპერქიდს

	2024	2023
შემოსავალი	685 377	556 351
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	0	0
საერთო მოგება	**685377.00**	**556351.00**
შრომის ანაზღაურება	(331 332)	(248 841)
ცვეთა/ამორტიზაცია	(65 651)	(35 143)
საბრუნავი ხარჯი	(124 967)	(67 634)
იჯარის ხარჯი	0	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(258 917)	(81 771)
სულ საოპერაციო ხარჯი	**(780 868)**	**(433 389)**
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	**(95 491)**	**122961.95**
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	(95 491)	(122 962)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(46 799)	(5 525)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**(142 290)**	**(128 487)**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	296 065	296 065
გასული პერიოდის შეცდომის კორექტირების ეფექტი	0	0
კაპიტალის ზრდა	0	0
მოგების გაცემა	0	0
პერიოდის მოგება - ზარალი	128 487	128 487
გადაფასების რეზერვი	0	0
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**424 552**	**424 552**
გასული პერიოდის შეცდომის კორექტირების ეფექტი	0	0
კაპიტალის ზრდა	5447	5447
მოგების გაცემა	0	0
პერიოდის მოგება - ზარალი	(142 290)	(142 290)
გადაფასების რეზერვი	0	0
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	**287 709**	**287 709**

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	709,317	561,113
ფულადი სახსრების სხვა შემოსავლები	730	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(226,765)	(77,610)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(262,974)	(199,027)
გადახდილი მოგების გადასახადი	(83,034)	-
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	-	(58,504)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**137,274**	**225,972**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,566,477)	(57,649)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,566,477)**	**(57,649)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
სასესხო ვალდებულების ზრდა	1,796,033	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(149,788)	(120,236)
გადახდილი დივიდენდები	-	-
გადახდილი პროცენტები	(124,967)	(67,634)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**1,521,278**	**(187,871)**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**92,075**	**(19,548)**
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	**(916)**	**(395)**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	**29,642**	**49,585**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	**120,801**	**29,642**

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ანაბელა სუპერქიდს (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2018 წლის 24 მაისს ს/კ 405272583. იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქუჩა, N26, ბინა 47

შპს პარმაღი-ს ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი განათლება.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 დალარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის მსს ფასს სტანდარტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3. ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.
ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპრცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების

მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტურმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცხოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

გასაყიდად გასაყიდი ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განისაზღვრულია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ან არ კლასიფიცირდება როგორც სესხები და მისაღები მოთხოვნები, ვადის გასვლამდე ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის საშუალებით.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ)კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ

მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღირება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურლებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

სავაჭრო ვალდებულებები, ავანსები და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით, ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება სამეურნეო მოვლენის შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის გასვლას კომპანიიდან.

ვალდებულებების მაგალითებია, საქონლის/მომსახურების მიღება კრედიტით , როგორც მიმდინარე ასევე უცხოურ ვალუტაში , საგადასახადო ვალდებულებები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები.

დაფარვის ვადების მიხედვით კომპანის გააჩნია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები.

უცხოურ ვალუტაში აღრიცხული სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ყოველი თვის ბოლოს ექვემდებარება გადაფასებას და კურსთაშორის სხვაობა აღირიცხება მიმდინარე პირიოდის მოგება ზარალში.

კომპანია შეძენისას ვალდებულებას აღიარებს როცა რისკი , კონტროლი და სარგებელი გადმოვა მასზე.

ვალდებულებები კომპანიაში დაჯგუფებულია ორ ძირითად ჯგუფად: ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ და ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ, რისთვისაც კომპანიას გამოყენებული აქვს 31 -ზე ცალ-ცალკე ქვეანგარიშები, მსგავსი დაჯგუფება ამარტივებს საგადასახადო მიზნებისთვის დასაბეგრი ოპერაციების კონტროლს.

კომპანია აღრიცხავს ხელფასებს საშემოსავლო განაკვეთით ანუ ხელზე ასაღებ თანხას +25% საშემოსავლო გადასახადი. კომპანია გასაცემი ხელფასებისა თუ მასთან გათანაბრებული განაცემების აღრიცხვისთვის იყენებს აღრიცხვის საკასო მეთოდს საგადასახადო მიზნებისთვის, ხოლო ფინანსური აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რაც იმას გულისხმობს რომ მიუხედავად ხელფასის გაცემისა უნდა მოხდეს ხარჯად აღიარება იმავე საანგარიშო პერიოდში, რომელსაც ის მიეკუთვნება.

კომპანია ცალკე აღრიცხავს ვალდებულებებს ბიუჯეტისადმი.

მოგების გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც დივიდენდის განაწილებით წარმოიშობა კომპანია აღრიცხავს ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების საანგარიშგებო პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდისგან დამოუკიდებლად, ხოლო მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც სხვა ოპერაციებით წარმოიშობა და არა დივიდენდის განაწილებით აღიარდება სხვა გადასახადების მსგავსად სხვა საოპერაციო ხარჯის მუხლში.

კომპანიას დივიდენდის გაცემის ვალდებულება აქვს თავისი დამფუძნებლის მიმართ, მოგების გატანა ხდება მოთხოვნის დოკუმენტის საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანია სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომელსაც უნდა დააკლდეს გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.
კომპანიას მარაგებზე აღრიცხული აქვს იმპორტირებული და ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი სასაქონლო მარაგები, რომლებიც გამიზნულია შიდა გამოყენებისათვის, მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად.
შესყიდვისას საქონლის თვითღირებულება მოიცავს ფასეულობის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს.
კომპანია მარაგების აღრიცხვას აწარმოებს საშუალო შეწოლი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ამორტიზირებად მატერიალურ საშუალებებს (ძირითად საშუალებებს) მიაკუთვნებს 1 წელზე ხანგრძლივი მოხმარების ვადის მქონე საშუალებებს, რომელთაც კომპანია იყენებს , როგორც პროდუქციის საწარმოებლად, ასევე სამეურნეო , კომერციული და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

კომპანია ძირითადი საშუალების შეფასებას ახდენს მისი თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეულია აქტივის დანიშნულების ადგილზე მიტანამდე, ასევე მოიცავს ინსტალაციის, გატესტვის და სხვა დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე.

კომპანია იყენებს, ძირითადი საშუალებების აღიარების ისტორიულ მეთოდს.

მომსახურების პერიოდის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ღირებულება შემცირდება დარიცხული ამორტიზაციის პროპორციულად და ბალანსში აისახება ე.წ. წმინდა საბალანსო ღირებულების მიხედვით, რომელიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო მე–16 სტანდარტის შესაბამისად.

კომპანია ცვეთის დარიცხვისთვის იყენებს წრიფ მეთოდს რაც გულისხმობს იმას, რომ ინდივიდუალურად თითოეული ძირითადი საშუალება გაიცვითება სასიცოცხლო ვადების შესაბამისად. სასიცოცხო ვადები თითოეულ ძირითად საშუალებას განესაზღვრება ინდივიდუალურად, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში თუ ხდება ძირითად საშუალებაზე ისეთი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც ამაღლებს მის მწარმოებლობას, ან რაიმე მახასიათებლით გაუმჯობესებას, კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალების ღირებულების გაზრდას.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით.

საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აისახება ღირებულებით, დარიცხული საამორტიზაციო და დარიცხული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანია ამორტიზაციის დარიცხვისთვის იყენებს წრიფ მეთოდს. რაც გულისხმობს იმას, რომ ინდივიდუალურად თითოეული არამატერიალური აქტივი გაიცვითება სასიცოცხლო ვადების შესაბამისად. სასიცოცხო ვადები თითოეულ არამატერიალური აქტივისთვის განესაზღვრება ინდივიდუალურად, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია ხდება ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე შეფასება ხდება ნებისმიერ დროს, როცა არსებობს იმის ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს. შეზღუდული ექსპლუატაციის ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი განიხილება როგორც მინიმუმ ანგარიშგების ყოველი პერიოდის დასასრულს. აქტივის მოსალოდნელი ექსპლუატაციის ვადის ან აქტივში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური შეღავათის გამოყენების მოსალოდნელი სქემის ცვლილებები მხედველობაში მიიღება ამორტიზაციის პერიოდის ან საჭიროებისამებრ, ამორტიზაციის მეთოდის მოდიფიცირებისთვის და განიხილება, როგორც ცვლილებები საბუღალტრო პოლიტიკაში. შეზღუდული ექსპლუატაციის ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარებულია ჯამური შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის ნაწილში, რომელიც შესაბამისობაშია აქტივის ფუნქციასთან.

არამატერიალური აქტივის ბალანსიდან ჩამოწერიდან გამომდინარე მოგება და ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა რეალიზაციიდან შემოსული წმინდა თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულება შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა ხდება აქტივის ბალანსიდან ჩამოწერა.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში გუდვილის გარდა, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად.

მიმდინარე და შედარებითი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

პროგრამული უზრუნველყოფა	5 წელი
სავაჭრო ნიშნები და რეკლამის დიზაინები	5 წელი
ლიცენზიები და დათმობები	25 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	6-10 წელი

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია ხელშეკრულების დაწყებისას აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას , თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება ინდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.
ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:
ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის თვითღირებულებით რომელიც მოიცავს:
საიჯარო ვალდებულებების თავდაპირველ შეფასებას;
საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;
იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.
აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასებისთვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლიც მიხედვითაც აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულებას გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი; და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. საიჯარო ხელშეკრულებების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, შესაბამისად მსგავსი ტიპის აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. კომპანია აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის გამოიყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს ბასს-16 „ძირითადი საშუალებები“-ის მოთხოვნების შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისათვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდები, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის:

ფიქსირებულ გადასახადებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;

თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;

იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

კომპანიამ საიჯარო გადახდების დისკონტირება განახორციელა როგორც იჯარაში ნაგულისხმევი, ასევე ზღვრული საპროცენტო განაკვეთებით. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ზრდის აღნიშნულ ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტით და ამცირებს საიჯარო გადახდებით. კომპანია საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ხელახლა

აფასებს იმ შემთხვევაში თუ არსებობს გარემოებები იჯარის ვადის და მოდიფიცირების ცვლილების, საიჯარო გადახდების ღირებულების ან შეფასების ცვლილებას შესყიდვის არჩევანის გამოყენებისას.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივი

კომპანია იყენებს მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ასევე დაბალი ღირებულების საიჯარო აქტივების მიმართ.

მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარუდოა, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება. შემოსავლის და ხარჯის აღიარებისათვის უნდა მოხდეს შემდგომი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლინი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტორლის გადაცემა ხდება ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

ხარჯების აღიარება

ხარჯი აღიარდება, როცა ეკონომიკური სარგებლის გასვლა აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან არის დაკავშირებული.

ამასთან, ხარჯის ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მათი საიმედო შეფასება.

კომპანია ხარჯებს აღიარებს დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა. კომპანია განასხვავებს თვითღირებულების ხარჯს, კომერციულ, ადმინისტრაციულ და სხვა დანახარჯებს.

კომპანია საგადასახადო მიზნებისთვის ცალკე აღრიცხავს ისეთ ხარჯებს, რომელიც უსაბუთოა ან მოგების გადასახადის მიზნებისთვის განიხილება, როგორც არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ფინანსურად ეს ხარჯი აისახება იმავე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა ის განხორციელდა.

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

კომპანიამ არასაოპერაციო შემოსავალში შესაძლოა ასახოს მიღებული კრედიტ-ნოტა, ჩუქებით მიღებული საქონელი, საკურსო სხვაობა მოგებით და ა.შ.

არასაოპერაციო ხარჯად კომპანიამ შესაძლოა ასახოს საპროცენტო ხარჯები, საკურსო სხვაობა ზარალით, ჩუქებით გაცემული საქონელი და ა.შ

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას.
ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასხადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად. 15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდსთვის, გამრვლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდიენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისგან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგასასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. კომპანიის მფლობელები ახორციელებენ ცვლილებებს კომპანიის წესდებაში (მათ შორის

საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ). კაპიტალის შევსება ხორციელდება როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით (სხვადასხვა აქტივების სახით).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შესული მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომლის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები რომელიც არ არისდაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთა
- გადახდები რომლებიც არაა დაკაშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უსასყიდლოდ მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციპიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები -
- სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა -
- სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული

გადასახადი

- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები -
- განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	12/31/2024	12/31/2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენ ბანკში	22 405	26 689
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	98 396	4 953
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**120 801**	**29 642**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	3 916	1 150
გადახდილი ავანსები	2 253	758
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**6 169**	**1 908**

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალები	0	0
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
მზა პროდუქცია	0	0
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	5 100	1 406
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	5 100	1 406

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3916	1150
გადახდილი ავანსები	2253	758
გადასახდელი ხელფასები	707	625
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**6876**	**2533**

10. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	მიწის ნაკვეთი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2023	**673 739**	**449 159**	**50 730**	**75 176**	**1 198 074**
შეძენა		-	-	7 369	7 369
გასვლა		-	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	**673 739**	**449 159**	**50 730**	**82 545**	**1 205 443**
ცვეთა					
ბალანსი 31.12.2023	**123 149**	**-**	**0**	**22 164**	**145 313**
ცვეთა	26 931	-	1 583	6 627	35 143
გასვლა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	**150 080**	**-**	**1583**	**28792**	**180 456**
ბალანსი 31.12.2023	**550 590**	**449 159**	**50 730**	**53 012**	**1 052 761**
ბალანსი 31.12.2024	**523 659**	**449 159**	**49 147**	**53 753**	**1 024 987**

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს **195 037** ლარს.

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(331,332)	(248,841)
ცვეთა/ამორტიზაცია	(65,651)	(35,143)
საპროცენტო ხარჯი	(124,967)	(67,634)
იჯარის ხარჯი	0	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(258,917)	(81,771)
სულ საოპერაციო ხარჯი	**(780,868)**	**(433,389**

13. სამართებლივი მოთხოვნები

კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის შემდგომ ისეთ მოვლენებს ადგილი არ ქონია ადგილი, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფრვას.